საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/726
08/02/2023

726-21-2-202302081027

სს „ეპ ჯორჯია გენერაციას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №19
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7472 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქუთაისის მუნიციპალიტეტში, ჭომას მიმდებარე ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგური „რიონი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის თანახმად (გვ. 24) „მდინარე რიონის საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 132,7 მ³/წმ“-ს. დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული მაჩვენებელი რომელი ჰიდროლოგიური კვეთიდან არის წარმოდგენილი;
- სკრინინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ჰესის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროცესში იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზეგავლენის შეფასების შესახებ. ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია თევზსავალისა და თევზამრიდი ნაგებობების არსებობისა და სამუშაო რეჟიმების ცვლილების შესახებ, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისას;
- სკრინინგის ანგარიშის 6.8 თავში მოცემული ინფორმაცია იქთიოფაუნის შეფასებაზე - „შეუქცევადად დამყარებულია გარკვეული წონასწორობა“, ბუნდოვანია და საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას ჰესის მოქმედების არეალში იქთიოფაუნის მდგომარეობის შესახებ;
- წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის თანახმად, სადგურზე დამონტაჟებულია 4 ჰიდროაგრეგატი, რომელთა სიმძლავრეებია №1-12 მგვტ, №2-15 მგვტ, №3-12 მგვტ, №4-15 მგვტ, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენს 54 მგვტ-ს. ამასთან, იგეგმება №3-12 მგვტ ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაცია, რომლის სიმძლავრე გაიზრდება და იქნება 15 მგვტ. შესაბამისად გაიზრდება რიონის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე და გახდება 57 მგვტ. თუმცა, 2018 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „რეაბილიტაციის შემდგომ რიონჰესის საერთო სიმძლავრე გახდა 51 მგვტ, საიდანაც №1, №2 და №3 ჰიდროაგრეგატების ნომინალური სიმძლავრე დარჩა 12 მგვტ, ხოლო

№4 ჰიდროაგრეგატის სიმძლავრე გაიზარდა და შეადგინა 15 მგვტ“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო